თბილისის “დინამო” – ნახევარფინალში!

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 17 მარტი.

“დინამო” (თბილისი) – “ლეგია” (ვარშავა) 1:0 (1:0).

“დინამო”: გაბელია, ხიზანიშვილი, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, დარასელია, კაკილაშვილი (სვანაძე), სულაქველიძე, გუცაეგი, ყიფიანი, შენგელია.

“ლეგია”: კაზიმირსკი, ტოპოლსკი, იანასი, მილევსკი, მაევსკი, ზალენჟნი, მილოშევიჩი, ადამჩიკი, კაკეტეკი, ივანიცკი (შანიავსკი), კუსტო.

მსაჯი: ჯ. კურტნეი (ინგლისი).

მატჩს დაესწრო 80 ათასი მაყურებელი.

მას შემდეგ, რაც თბილისელმა ფეხბურთელებმა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასზე ვარშავაში მოუგეს ადგილობრივ “ლეგიას” ანგარიშით 1:0, ბევრი რამ, თითქოს, ნათელი გახდა: საჭირო იყო შინ მეორე რაუნდის წარმატებით მოთავება და დინამოელები ნახევარფინალში გადიოდნენ.

მაგრამ დასამალი არაა – “ეჭვის ჭია” მაინც ღრღნიდა ჩვენი გუნდის გულშემატკივრებს. პირველი წარმატების შემდეგ, ისიც მეტოქის მინდორზე, დინამოელებს არ უნდა გასჭირვებოდათ მეოთხედფინალურ ეტაპზე საერთო გამარჯვების მოპოვება. თუმცა, ფეხბურთში ბევრი რამ ხშირად ხდება ხოლმე დაუწერელი კანონების მიხედვით, ამიტომ დინამოელთა მხრივ საჭირო იყო ბრძოლა ბოლომდე, მეორე მატჩის საფინალო სასტვენამდე, სანამ ჩვენი ნახევარფინალში გასვლის საკითხი საბოლოოდ არ გადაწყდებოდა. რა დასამალია, ნერვული განწყობილება სუფევდა მინდორზეც და ტრიბუნებზეც: “ლეგია” ხელწამოსაკრავი გუნდი არაა.

ვნერვიულობდით მაშინაც, როცა მე–2 წუთზე შენგელიამ თავით გადააცილა ბურთი კაზიმირსკის კარს, მცირე ხანს შემდეგ კი ადამჩიკმა, პოლონელთა საუკეთესო ბომბარდირმა, ასევე ააცილა მიზანს ბურთი. შემდეგ კი, მასპინძელთა თამაში თანდათან დალაგდა, აეწყო საერთო ურთიერთმოქმედება, სულ უფრო ნათლად გამოჩნდა, რომ ჩვენი ფეხბურთელები მეტოქეს ჯობდნენ ტექნიკური თვალსაზრისით და, საერთოდ, ინიციატივაც საფუძვლიანად ეპყრათ ხელთ.

ეს უპირატესობა ხელშესახები შეიქმნა შუა ტაიმში – “ლეგიას” კართან რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს გუცაევმა, შენგელიამ, კაკილაშვილმა, აქტიურობდნენ დინამოელთა ნახევარმცველები და მცველებიც. თანდათან მეთოდურად მოახლოვდა ის დროც, როცა ამ შეტევებს ნაყოფი უნდა გამოეღო. 30–ე წუთზე მუჯირმა მარცხენა ფრთიდან დაარტყა სტუმრების კარში, მეკარე კაზიმირსკი და მცველები შეფერხდნენ, ამით ისარგებლა შენგელიამ და “ლეგიას” კარი აღებულ იქნა – 1:0.

ეს ის გოლი იყო, რომელმაც თბილისელებს დაწყნარებული, პოზიციური თამაშის შესაძლებლობა შეუქმნა. რა თქმა უნდა, ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ თამაშს სანახაობრივად საინტერესო და დაძაბული ვუწოდოთ. პირიქით, შესვენების შემდეგ დროდადრო იქმნებოდა ტაქტიკური პაუზები, ბურთი უმეტესად მინდვრის შუაგულში ტრიალებდა, მაგრამ ერთი ცხადი იყო – შექმნილ სიტუაციაში პოლონელებს თითქმის არ შეუქმნიათ რამდენადმე მაინც სერიოზული კონტრთამაში, ისინი კვლავინდებურად საკუთარ ნახევარზე იყვნენ ჩაკეტილი და ერთი–ორჯერ თუ შეძლეს მოპირდაპირე საჯარიმო მოედანზე შესვლა.

ასეთ ვითარებაში დინამოელებმა გამიზნულად და მართებულად არ გაამწვავეს მდგომარეობა, მათ თამაში ადრინდელი კალაპოტიდან არ ამოუგდიათ – იშვიათი არ იყო მომენტები, როცა მცველები და ნახევარმცველები საკმაოდ ხანგრძლივი დროით აწვდიდნენ ერთმანეთს ბურთს და “ლეგიას” თავდამსხმელებს არ აძლევდნენ მოულოდნელ გარღვევათა საშუალებას.

ჩვენს გუნდს მიზნად დასახული ჰქონდა მეოთხედფინალური ეტაპის დაძლევა, ვარშავაში მოგების შემდეგ მან საკუთარ მინდორზეც გაიმარჯვა და ღირსეულად გავიდა ნახევარფინალში.

ბ. ქორქია.

მატჩის შემდეგ

პრესკონფერენციაზე, რომელსაც ადგილობრივი პრესისა და ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლებთან ერთად პოლონელი ჟურნალისტებიც ესწრებოდნენ, ორივე გუნდის მწვრთნელები

– კ. გურსკი (“ლეგია”) და ს. კუტივაძე (“დინამო”) ერთი აზრისა იყვნენ: თამაშზე დიდი გავლენა იქონია პირველი შეხვედრის ანგარიშმა და მატჩი სანახაობრივად ნაკლებ მიმზიდველი გამოდგა.

კ. გურსკი: თამაში, რომელიც უაღრესად კორექტულად მიმდინარეობდა, მხოლოდ ცალკეულ მომენტებში იყო საინტერესო. რაც შეეხება ჩვენს კარში მიღებულ ბურთს, ვფიქრობ, იგი არ უნდა გაეშვა მეკარეს… “დინამოს” ვულოცავ ნახევარფინალში გასვლას და წარმატებას ვუსურვებ გათამაშების შემდგომ ეტაპზე. მომეწონა მაყურებელი, რომელიც კარგად ერკვეოდა ბრძოლის დეტალებში. რაც შეეხება დინამოელებს, გამოვყოფ ჩივაძესა და დარასელიას, კარგი დისპეტჩერი იყო ყიფიანი. აი, შენგელიასა და გუცაევს კი მთელი ძალით თამაშის საშუალება არ ჰქონდათ. საერთოდ, “დინამოს” ემჩნევა, რომ იგი ახლა იკრებს ძალებს.

ს. კუტივაძემ აღნიშნა “ლეგიას” ბრძოლისუნარიანობა და შეუპოვრობა. მოთამაშეთაგან გამოჰყო იანასი, ზალენჟნი და მაევსკი.

“ლელო”, 18 მარტი, 1982 წ.